



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27231495

თარიღი:29/05/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

29 მაისი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
2. განკარგულების დანართი „თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

მამუკა ბურდიაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა

№	დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	კულტურული ინიციატივები	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ინიცირებული ან/და სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებისგან შემოსული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	26 500
2	თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვან მცირე მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია/ხელშეწყობა	თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვან მცირე მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია/ ხელშეწყობის ღონისძიება მოიცავს სხვადასხვა გამოფენა-გაყიდვების, სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზებას, საგამოფენო ინვენტარის შეძენას და სხვა სახის მხარდაჭერას	წლის განმავლობაში	59 500
3	ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიება	თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისება ფულადი საჩუქრის სახით, რომელთაც სრული ზოგადი განათლების მიღება დაასრულეს ოქროსა და ვერცხლის მედლებზე	წლის განმავლობაში	46 388

4	არქეოლოგიური ბანაკი (გონიო-აფსაროსის მუზეუმ- ნაკრძალი)	პროექტის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს/პედაგოგებს, საშუალება ეძლევათ 10 დღის განმავლობაში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქეოლოგიის შესახებ, მოინახულონ სხვადასხვა მუზეუმ-ნაკრძალები	ივლისი-აგვისტო	48 000
	მთლიანი ბიუჯეტი			180 388